FREE NETWORK

POLICY BRIEF SERIES

გიორგი პაპავა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი
მარიამ კაცაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი
2025 წლის იანვარი

სოციალური დახმარების ზეგავლენა არჩევნების შედეგებზე: საქართველოს მაგალითი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით, პოლიტიკის ნარკვევი მიმოიხილავს კავშირს სოციალური დახმარების პროგრამებსა და საქართველოში არჩევნების შედეგებს შორის. რეგრესიული ანალიზის მეშვეობით, კვლევაში გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის ზრდასა და მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ ხმებს შორის, რაც აჩენს კითხვებს სოციალური დახმარების პროგრამების, როგორც პოტენციური სტრატეგიული პოლიტიკური იარაღის, გამოყენებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად, მოსახლეობაში სოციალური დახმარების მიმღებთა წილის 1 პროცენტული პუნქტით ზრდა, იწვევს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილის საშუალოდ 0.5 პროცენტული პუნქტით ზრდას, სიღარიბესთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებითაც კი. პოლიტიკის ნარკვევის შედეგები ცხადყოფს სოციალური დახმარების პროგრამების ორმხრივ გავლენას – სიღარიბის შემსუბუქებასა და პოლიტიკური ქცევის ფორმირებას, და ხაზს უსვამს, რომ სოციალური დახმარება მიმართული უნდა იყოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენის გარეშე.

შესავალი

სოციალური დახმარების პროგრამებსა და ამომრჩევლის ქცევებს შორის კავშირი განხილვის საგნად იქცა როგორც აკადემიურ, ისე საჯარო პოლიტიკის წრეებში, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად შექმნილი სოციალური პროგრამები ხშირად პოლიტიკური კონტექსტის მატარებელია, განსაკუთრებით, განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ქვეყნის მოქმედ მმართველებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამები ამომრჩეველთა ლოიალობის მოსაპოვებლად გამოიყენონ. საქართველოში, სოციალური დახმარების უმსხვილეს კომპონენტს წარმოადგენს საარსებო შემწეობის პროგრამა, რომლის დანიშვნაც, სხვა ტიპის სოციალური დახმარებებისგან განსხვავებით (მაგ., დახმარება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, იძულებით გადაადგილებულთ და ხანდაზმულთათვის), განისაზღვრება არაპირდაპირი ინდიკატორების შეფასების (Proxy Means Testing) საფუძველზე, რაც ძალაუფლების მქონე პირთათვის ქმნის შესაძლებლობას საარსებო შემწეობის გაცემის საკითხი მიკერძოებულად გადაწყვიტონ. არსებობს ვარაუდი, რომ მთავრობა შესაძლოა იყენებდეს ამ პროგრამას სტრატეგიული მიზნებისთვის, მათ შორის, ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად ბენეფიციარების რაოდენობის ზრდით წინასაარჩევნო პერიოდში ან არსებული ბენეფიციარებისათვის დახმარების შეწყვეტით მათ მიერ გამოვლენილი პოლიტიკური პრეფერენციების საფუძველზე (შუბლაძე (2024); ჯაფარიძე (2023); სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2024)). პოლიტიკის ნარკვევში გამოკვლეულია სოციალური დახმარების პროგრამების ზეგავლენა საქართველოში არჩევნების შედეგებზე, კონკრეტულად – ჰქონდა თუ არა ზეგავლენა 2020-2024 წლებში საარსებო შემწეობის ბენეფიციართა რაოდენობის ზრდას მმართველი პარტიის მიერ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებულ ხმებზე.

ეს კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ბოლო პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით. საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა, როდესაც ქართულმა ოცნებამ განაცხადა, რომ ამომრჩეველთა ხმების 53.93% მოიპოვა, გააჩინა ეჭვები არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის შესახებ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) საარჩევნო პროცესში გამოავლინა სისტემური დარღვევები, მათ შორის, ამომრჩევლებზე ზეწოლა, მედიი მიკერძოებულობა, პოლიტიკური პარტიების მიერ კამპანიების არათანაბარ პირობებში წარმართვის პრაქტიკა და არჩევნების დღეს დაფიქსირებული შემთხვევები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის, მათ შორის, საჯარო მოხელეებისა და სოციალური დახმარების მიმღებთა შესაძლებლობაზე ხმა მიეცათ თავისუფალ და სამართლიან გარემოში, მოსალოდნელი ანგარიშსწორების შიშის გარეშე.

კვლევაში წარმოდგენილი რეგრესიული ანალიზის შედეგების თანახმად გამოვლინდა დადებითი კავშირი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობასა და მმართველი პარტიის მიერ საქართველოს მუნიციპალიტეტებში მიღებულ ხმებს შორის, რაც აჩენს დამატებით კითხვებს საარჩევნო

პროცესის სამართლიანობისა და სახელმწიფო სახსრების განაწილების შესახებ.

სოციალური დახმარების პროგრამების პოლიტიკური მნიშვნელობა: გლობალური კონტექსტი

სოციალურ დახმარებასა და არჩევნების შედეგებს შორის კავშირი ფართოდ არის შესწავლილი საერთაშორისო მასშტაბით. სოციალური დახმარების პროგრამები ხშირად ორმაგ მიზანს ემსახურება: ისინი ხელს უწყობენ სიღარიბის შემცირებას და წარმოადგენენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას მოწყვლადი მოქალაქეებისათვის, და, ამავდროულად, აყალიბებენ მათ პოლიტიკურ ქცევას, კონკრეტულად კი პოლიტიკურ არჩევანს. სოციალურმა პროგრამებმა შესაძლოა გაზარდოს მოქმედი მთავრობის ელექტორატი ერთი მხრივ ბენეფიციარებში მადლიერების გაღვივებით, რამდენადაც ისინი დარწმუნდებიან მთავრობის კომპეტენტურობაში სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხში და მეორე მხრივ ბენეფიციარებში ეჭვის გაჩენით, რომ მათი პოლიტიკური პრეფერენციების გამჟღავნებამ, შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს სოციალური დახმარების გაცემასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

ამას მოწმობს De La O-ს (2013) კვლევა მექსიკის მაგალითზე. Progresa/Oportunidades-ის ფულადი დახმარების პროგრამის შესწავლისას, De La O-მ აღმოაჩინა, რომ პროგრამამ გამოიწვია როგორც ამომრჩეველთა აქტივობის, ასევე მთავრობის კანდიდატის ელექტორატის ზრდაც.

ბრაზილიის შემთხვევაში ((Zucco (2013)), Bolsa Família-ს ფულადი დახმარების პროგრამა საარჩევნო სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. კვლევამ აჩვენა, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც წილობრივად დახმარების პროგრამის უფრო მეტი ბენეფიციარი ცხოვრობდა, მოსახლეობამ არჩევანი მოქმედი მთავრობის კანდიდატის სასარგებლოდ გააკეთა სამი სხვადასხვა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რაც ცხადყოფს მჭიდრო კავშირს სოციალურ დახმარებასა და პოლიტიკურ ქცევას შორის.

გარდა ამისა, Layton-ისა და Smith-ის (2015) კვლევაში განხილულია, თუ რა გავლენა იქონია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებმა ამომრჩეველთა ქცევაზე ლათინურ ამერიკაში. ავტორის თანახმად, მსგავსი პროგრამები განაპირობებს იმ ამომრჩეველთა მობილიზებას, რომლებიც არ აპირებდნენ ხმის მიცემას და, ამავდროულად, ხელს უწყობს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლების გადმობირებას. შედეგები განსხვავებულია ქვეყნებს შორის, მათი პოლიტიკური მახასიათებლებისა და დახმარების პროგრამების შინაარსის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ინდონეზიაში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევა კიდევ ერთხელ მოწმობს სოციალური დახმარებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის პირდაპირ კავშირს არჩევნების შედეგებზე. ერთ-ერთ კვლევაში (Dharma, Syakhroza, და Martani (2022)) განხილულია ინდონეზიის 212 ოლქი და ქალაქი, სადაც ადგილობრივ არჩევნებში გამოვლინდა პირდაპირი დადებითი კავშირი სოციალური პროგრამების დანახარჯებსა და მოქმედი მთავრობის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას შორის. კვლევაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ მაღალი პოლიტიკური კონკურენცია ამცირებს მოქმედი მთავრობის კანდიდატების უპირატესობას და სოციალურ

პროგრამებში ჩადებული ხარჯების ეფექტიანობას პოლიტიკური ქცევის ფორმირების მიმართულებით.

საერთაშორისო ლიტერატურა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მაგალითის შესასწავლად, სადაც სოციალური დახმარება შესაძლოა მსგავს გავლენას ახდენდეს ამომრჩეველთა ქცევაზე.

საქართველოს კონტექსტი

საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული მეტად საკამათო საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 53.93% მოიპოვა და ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე დომინანტური პოზიცია შეინარჩუნა. თუმცა არჩევნებს მოჰყვა ფართოდ გავრცელებული ბრალდებები საარჩევნო დარღვევების შესახებ, რაც ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების ლეგიტიმურობას და აჩენს კითხვებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ეუთო/ODIHR-მა განახორციელა ყოვლისმომცველი დაკვირვება საარჩევნო პროცესზე და აღნიშნა როგორც დადებითი ასპექტები, ისე კრიტიკული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ზოგადად კარგად იყო ორგანიზებული, ODIHR-ის დასკვნით ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება უფრო ფართო პოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირებით. ამ მხრივ ძირითადი საკითხები მოიცავს ისეთი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეზღუდვას და ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევებს. აღინიშნა, რომ არჩევნების დღეს დაფიქსირებული შემთხვევები, მათ შორის ზეწოლა ამომრჩევლებზე და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ძირს უთხრის საარჩევნო პროცესის სანდოობას. ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია შემთხვევები (16 მუნიციპალიტეტში), როდესაც საჯარო მოხელეებსა და ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფებზე, კონკრეტულად კი სოციალური დახმარების ბენეფიციარებზე, ხორციელდებოდა ზეწოლა, რომ მათ მხარი დაეჭირათ მმართველი პარტიისათვის. სოციალური დახმარების დაკარგვის ან სამუშაო ადგილზე უსიამოვნების შიში ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ამომრჩევლებს უჭირთ დამოუკიდებელი აზრის ფორმირება და თავისუფლად ხმის მიცემა.

დამოუკიდებელი ანალიტიკოსების მიერ დამატებითმა დაკვირვებამ ცხადყო სისტემური დარღვევები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ არჩევნების შედეგი შესაძლოა არ გამოხატავდეს ქართველი ამომრჩევლის ნებას. Gutbrod-ის (2024) მიხედვით, ისეთი ტაქტიკების გამოყენება, როგორიცაა ამომრჩეველთა მოსყიდვა, მასობრივი დაშინება და მანიპულაცია, აისახა არჩევნების შედეგების მონაცემებში, ანომალიური სტატისტიკების სახით. კონკრეტულად კი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვის არაბუნებრივი ზრდა იმ უბნებზე, სადაც დაფიქსირდა ამომრჩევლებზე ძალადობა და სხვა დარღვევები. გარდა ამისა, დოკუმენტში სოციალური დახმარების ბენეფიციარები გამოკვეთილია, როგორც ე.წ. თოვლის გუნდის მეთოდით მობილიზაციის სამიზნე ჯგუფი, რომელიც ორგანიზებული იყო „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პირების მიერ. ამ მეთოდის ფარგლებში, სქემის

მონაწილეებს მოუწოდებენ მოახდინონ დამატებითი პირების მობილიზება ან იდენტიფიცირება, ამომრჩეველთა წრისა და მათი ჩართულობის გასაზრდელად.

სოციალური დახმარება საქართველოში

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ გამოყოფს რამდენიმე ტიპის სოციალური დახმარების პროგრამას, რომელთა მიზანსაც მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის საჭიროებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ეს პროგრამები მოიცავს საარსებო შემწეობას, რეინტეგრაციის შემწეობას, მინდობით აღზრდის ანაზღაურებას, სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურებას, არაფულად სოციალურ დახმარებას და სოციალურ პაკეტს. აქედან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნობრივი სოციალური დახმარების, ე.წ. საარსებო შემწეობის პროგრამაა. მისი მიზანია ფინანსური დახმარება გაუწიოს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს. საარსებო შემწეობის მიმღებთა ვინაობა დგინდება აპლიკანტების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი არაპირდაპირი ინდიკატორების შეფასებაზე (Proxy means testing) დაყრდნობით. პოლიტიკის ნარკვევი აკვირდება საარსებო შემწეობის პროგრამის ბენეფიციარებს (შემდეგში „სოციალური დახმარების ბენეფიციარები“), რადგან მათი რაოდენობა და საარჩევნო ქცევა შესაძლებელს ხდის საქართველოში სოციალური დახმარების პროგრამებსა და ხმის მიცემის ტენდენციებს შორის კავშირის შეფასებას.

2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით (წინა საპარლამენტო არჩევნების თარიღი), საქართველოში სოციალური დახმარება 142,870 ოჯახმა, 510,343 პირმა მიიღო. სოციალური დახმარების მთლიანმა მოცულობამ აღნიშნულ თვეში 28,825,259 ლარი შეადგინა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, სოციალური დახმარებების თვიური მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2024 წლის ოქტომბრისათვის დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა და 178,107 ოჯახი შეადგინა, ხოლო ინდივიდუალური ბენეფიციარების რაოდენობა 34%-ით გაიზარდა და 684,432-ს მიაღწია. ყველაზე შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა სოციალური დახმარების მთლიან თვიურ მოცულობაში, რომელიც 143%-ით გაიზარდა და 69,936,512 ლარი შეადგინა, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 25%-იან ზრდას შეესაბამება (წყარო: საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, 2024).

2022 წელს ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება სოციალური დახმარების იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც იმყოფებიან 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე, არ წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების პირს და არ აქვთ სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს ბენეფიციარების დასაქმების შესაძლებლობებს, ძირითადად, საჯარო სექტორში, თვეში 300 ლარამდე ხელფასით. დასაქმების შემთხვევაში მიღებული ხელფასი გავლენას არ ახდენს ბენეფიციარის სოციალური დახმარების მოცულობაზე. დასაქმების პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ საჯარო სექტორში, ოფიციალურად გააფორმონ არაფორმალური დასაქმება ან, თუ დასაქმებულნი არიან კერძო სექტორში, წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ დასაქმების პროგრამის მონაწილე ოჯახები და პირები

გარანტირებულად მიიღებენ საარსებო შემწეობას ოთხი წლის განმავლობაში, რადგან ამ პერიოდში არ მოხდება მათი სოციალური სტატუსის გადახედვა.

2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, დასაქმების პროგრამაში მონაწილეობას 50,962 ოჯახი იღებს, რაც სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების 28.6%-ს შეადგენს. ამ ოჯახებისათვის ყოველთვიურმა სოციალურმა დახმარებამ 22,766,706 ლარი შეადგინა, რაც სულ გაცემული სოციალური დახმარების 33%-ს წარმოადგენს.

სოციალური დახმარების ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ზრდა და 2022 წელს სოციალური დახმარების მიმღებთათვის დასაქმების პროგრამის შემოღება, რაც მათთვის ოთხი წლის განმავლობაში სოციალური დახმარების გარანტირებულად მიღებას ნიშნავს, ხაზს უსვამს საქართველოში სოციალური კეთილდღეობის მიზნობრივი ინიციატივების არეალისა და გავლენის ზრდას. გარდა იმისა, რომ პროგრამების ამგვარი განვითარება ამცირებს სოციო-ეკონომიკურ სირთულეებს, ამავდროულად ჩნდება კითხვები მათი პოტენციური პოლიტიკური ზეგავლენის შესახებ. კონკრეტულად, ბენეფიციართა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის შედეგად სოციალური შემწეობის გარანტირებული მიღება შესაძლოა ჩაითვალოს ამომრჩეველთა ლოიალობის უზრუნველყოფის და მათი მმართველი პარტიის სასარგებლოდ მობილიზების მექანიზმებად.

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

რეგრესიული ანალიზის მეშვეობით, პოლიტიკის ნარკვევში შეფასებულია კავშირი სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასა და მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ ხმებს შორის. ეს სტატისტიკური მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ არის თუ არა, და თუ არის, რა მასშტაბითაა დაკავშირებული სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა პარტიის მიერ მიღებული ხმების წილის ცვლილებასთან. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური დახმარების მიღება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტებში სიღარიბის განსხვავებულ დონეებზე, ანალიზში ვიყენებთ იმ საკონტროლო ცვლადებს, რომლებიც გამოყოფენ ეკონომიკური კეთილდღეობის გავლენას.

კვლევა ეყრდნობა მონაცემთა ორ ძირითად წყაროს: 1) ინფორმაცია სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების, ინდივიდებისა და სოციალური დახმარების მოცულობის შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით მოპოვებულია საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდიდან. მონაცემთა ბაზა მოიცავს საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს (და თვითმმართველ ქალაქს). 2022 წლიდან მონაცემებში გამოყოფილია ინფორმაცია იმ ოჯახებისა და პირების შესახებ, რომლებსაც გარანტირებულად შეუნარჩუნდათ სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში; 2) 2024 და 2020 საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული მონაცემები მოპოვებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებ-

გვერდიდან. 2024 წლის მონაცემებში ასახულია როგორც ელექტრონული, ისე არაელექტრონული წესით ხმის მიცემის შედეგები. მონაცემთა ბაზის ძირითადი ცვლადები მოიცავს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, მიცემული ხმების საერთო რაოდენობასა და „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებულ ხმებს. არჩევნებთან დაკავშირებული მონაცემები დაჯგუფებულია 64 მუნიციპალიტეტის (და თვითმმართველი ქალაქების) დონეზეც.

ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული სიღარიბის დონის შესახებ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი; ამიტომ, ანალიზში გამოყენებულია დასაქმებისა და ეკონომიკური აქტივობის ამსახველი საკონტროლო ცვლადები. რაც შეეხება ეკონომიკური აქტივობის დონეს, ის განისაზღვრება მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლებით ან კერძო სექტორის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულებით. ინფორმაცია დასაქმებასთან და დამატებით ღირებულებასთან დაკავშირებით მოვიპოვეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან, ხოლო საგადასახადო შემოსავლების შესახებ მონაცემები – ფინანსთა სამინისტროდან.

ცხრილში მოცემულია რეგრესიული ანალიზის შედეგები.

ცხრილი 1 – რეგრესიული ანალიზის შედეგები

„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილის ცვლილება 2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნებს შორის	(1)	(2)	(3)	(4)
მუდმივა	0.071	0.102	0.089	0.086
მოსახლეობაში სოციალური დახმარების ბენეფიციართა წილის ცვლილება	0.491** (0.019)	0.472** (0.016)	0.509** (0.015)	0.528*** (0.009)
დასაქმების დონე, 2023		-0.278*** (0.003)		
მოსახლეობაში დასაქმებულთა რაოდენობის წილის ცვლილება			0.095 (0.829)	0.024 (0.954)
საგადასახადო შემოსავლები 2023, ერთ სულ მოსახლეზე			-0.00003 (0.164)	
დამატებული ღირებულება 2023, ერთ სულ მოსახელზე				-0.004*** (0.006)
დაკვირვებათა (რეგრესიაში ჩართული მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების) რაოდენობა	64	64	64	64

წყარო: ავტორის გამოთვლები

შენიშვნა: ცვლადების კოეფიციენტების მნიშვნელობებთან ერთად, ფრჩხილებში მოცემულია p-მნიშვნელობები, რაც შესაბამისი კოეფიციენტის ცდომილების დონის ეკვივალენტურია.

*მნიშვნელოვანია 10%-იანი სტატისტიკური ცდომილების დონით; *მნიშვნელოვანია 5%-იანი ცდომილებით; *მნიშვნელოვანია 1%-იანი ცდომილებით.

პირველი რეგრესია (სვეტი 1) იკვლევს კავშირს მოსახლეობაში სოციალური დახმარების ბენეფიციართა წილის ცვლილებასა და პარტია „ქართული ოცნების“ ხმების წილის ცვლილებას შორის და წარმოაჩენს მათ შორის არსებულ მნიშვნელოვან კავშირს. კერძოდ, კოეფიციენტი (0.49) მნიშვნელოვანია 5%-იანი ცდომილების დონით და გვიჩვენებს, რომ მოსახლეობაში სოციალური დახმარების ბენეფიციართა წილის ერთი პროცენტული პუნქტით ზრდა „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილის დაახლოებით 0.49 პროცენტული პუნქტით ზრდას იწვევს.

რეგრესიაში სიღარიბის ეფექტის გასაკონტროლებლად, პირველ რიგში, ვიყენებთ მონაცემებს 2023 წლის (უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები) დასაქმების დონის შესახებ, როგორც სიღარიბის დონის პროქსი მაჩვენებელს. მე-2 სვეტში ასახულია შესაბამისი

შედეგები. აქაც, სოციალური დახმარების ბენეფიციართა ცვლილების კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5%-იანი ცდომილებით, ხოლო მისი მნიშვნელობა (0.47) ახლოსაა წინა მოდელით მიღებულ შედეგთან. მოდელის მიხედვით, არსებობს მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი (1%-იანი ცდომილების დონით) სიღარიბის მაჩვენებელსა და მმართველი პარტიის მიერ მიღებულ ხმებს შორის. რაც უფრო მაღალია სიღარიბის დონე (დაბალია დასაქმების მაჩვენებელი) მუნიციპალიტეტში, მით უფრო დიდია „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილი.

მომდევნო ეტაპზე, (მე-3 სვეტი) ასახულია თუ როგორ არის დამოკიდებული „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილის ცვლილება, მოსახლეობაში დასაქმების დონის ცვლილებაზე, ერთ სულ მოსახლეზე მობილიზებულ ადგილობრივ საგადასახადო შემოსავლებსა და მოსახლეობაში სოციალური დახმარების მიმღებთა წილის ცვლილებაზე. მოსახლეობაში დასაქმებულთა წილის ცვლილება დაანგარიშებულია სხვაობით 2019 და 2023 წლის მონაცემებს შორის და აღნიშნული მაჩვენებელი გამოყენებულია როგორც სიღარიბის დონეებს შორის ცვლილების პროქსი. 2023 წელს საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ასახავს ეკონომიკური აქტივობის დონეს მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში და გამოყენებულია კეთილდღეობის ინდიკატორად. როგორც ცხრილიდან ჩანს, ცვლილება დასაქმების მაჩვენებელში არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ამხსნელი ცვლადი, თუმცა, ზომიერად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლები. სოციალური დახმარების ბენეფიციართა ცვლილების კოეფიციენტი სტატისტიკურად კვლავ მნიშვნელოვანია და სიდიდით (0.51) ახლოსაა წინა მოდელების შეფასებებთან.

მოდელის სანდოობის შემოწმებისთვის, მანამდე გამოყენებული ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი (საგადასახადო შემოსავლები) შევცვალეთ 2023 წლის კერძო სექტორის დამატებული ღირებულების მნიშვნელობით ერთ სულ მოსახლეზე (სვეტი 4), რაც მნიშვნელოვნადაა (1%-იანი ცდომილების დონით) დაკავშირებული მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილის ზრდასთან. დასაქმების ცვლილების მაჩვენებელი კვლავაც არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილების კოეფიციენტი კვლავ დადებითი (0.53) და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იანი ცდომილების დონით.

ზემოთ აღნიშნული რეგრესიის მოდელები შემოწმდა დამოკიდებული ცვლადის სხვა სპეციფიკაციის შემთხვევაშიც. არჩევნებზე მიღებული ხმების წილის ცვლილებასთან ერთად, ჩვენ ასევე განვიხილეთ ზეგავლენა „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის ცვლილებაზე 2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნებს შორის. ამ შემთხვევაშიც, დამოკიდებული ცვლადი მნიშვნელოვნად აიხსნება სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის ცვლილებით.

სოციალური დახმარების პროგრამის ზეგავლენა მსგავსია ყველა მოდელის შემთხვევაში როგორც სიდიდით, ისე სტატისტიკური მნიშვნელოვნებით, რაც ცხადყოფს, რომ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა მჭიდროდაა

დაკავშირებული „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმებთან და რომ სოციალური დახმარების პროგრამები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არჩევნების შედეგების ფორმირებაში.

დასკვნა

კვლევაში გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის ზრდასა და მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“' მიერ მიღებული ხმების წილს შორის 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. სიღარიბის და ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლების გათვალისწინების შემდეგაც, კვლევის შედეგები ცხადყოფს სოციალური დახმარების პროგრამების ზეგავლენას არჩევნების შედეგებზე. კვლევის თანახმად, მოსახლეობაში სოციალური დახმარების მიმღებთა წილის 1 პროცენტული პუნქტით ზრდა იწვევს „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილის 0.47–0.53 პროცენტული პუნქტით ზრდას. არჩევნების საერთო კონტექსტის და შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების გაფართოებამ შესაძლოა დამატებით 45,500-დან 50,000-მდე ხმა მოუტანა „ქართულ ოცნებას“, რაც ხმების საერთო რაოდენობის 2.2–2.5 პროცენტს შეადგენს.

შედეგები აჩენს კრიტიკულ კითხვებს სოციალური დახმარების პროგრამების, როგორც პოტენციური სტრატეგიული პოლიტიკური იარაღის, გამოყენებასთან დაკავშირებით. რეგრესიული ანალიზის სხვადასხვა მოდელს შორის შედეგების მსგავსება ცხადყოფს, რომ გამოვლენილი ტენდენციები არ არის მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის თანმდევი შედეგები, არამედ ასახავს არსებით კავშირს სოციალური დახმარების გაფართოებასა და არჩევნების შედეგებს შორის. აღნიშნული მიგნებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში დემოკრატიული მმართველობის საკითხთან მიმართებით. სოციალური დახმარების პროგრამების ამგვარი სტრატეგიული გამოყენება საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას საარჩევნო პროცესის მიმართ და ხაზს უსვამს მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საჭიროებას სოციალური დახმარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სოციალური დახმარების პროგრამების ორმხრივი გავლენის, სიღარიბის შემსუბუქებისა და პოლიტიკური ქცევის ფორმირების, აღიარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სოციალური დახმარება მიმართული იყოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენის გარეშე.

ლიტერატურა

De La O, A. L. (2013). "Do conditional cash transfers affect electoral behavior? Evidence from a randomized experiment in Mexico", *American Journal of Political Science,* 57(1), 1-14.

Dharma, F., Syakhroza, A., & Martani, D. (2022). "Does the social assistance budget realization affect incumbents' votes? (Study in Indonesia Local Election)", *International Journal of Professional Business Review*, 7(6), e0636-e0636.

Gutbrod, H. (2024). "A dozen daggers: How Georgia's 2024 elections were rigged".

Japaridze, T. (2023). "Social Policy in contemporary Georgia: liberal narratives, intervention and welfare state", *King's College London.*

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2024). საქართველოს პარლამენტი.

Layton, M. L., & Smith, A. E. (2015). "Incorporating marginal citizens and voters: the conditional electoral effects of targeted social assistance in Latin America", *Comparative Political Studies,* 48(7), 854-881

OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), (2024). "Georgia Parliamentary Elections: Final Report", *Organization for Security and Co-operation in Europe.*

Shubladze, R. (2024). "Targeted Social Assistance Program in Georgia and Its Link to Electoral Outcomes", *Social Justice Center.*

Social Justice Center (2024). "What are the challenges in the livelihood support system, and what changes are necessary for its improvement?".

Zucco Jr, C. (2013). "When payouts pay off: Conditional cash transfers and voting behavior in Brazil 2002–10", *American journal of political science,* 57(4), 810-822.

გიორგი პაპავა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
g.papava@iset.ge
www.iset-pi.ge

გიორგი პაპავა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტია და კერძო სექტორის განვითარების პოლიტიკის მიმართულებას ხელმძღვანელობს. იგი ფლობს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. საქმიანობის ISET-ის კვლევით ინსტიტუტში დაწყებამდე, იგი არაერთ საკონსულტაციო თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა ეკონომიკური კონსულტანტის და მკვლევარის როლში. გიორგი პაპავა ასევე არის CERGE-EI-ის კარიერული ინტეგრაციის სტიპენდიანტი (Career Integrated Fellow) და ამჟამად ასწავლის ISET-ში. მისი კვლევითი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობა, ინდუსტრიული ორგანიზაციები, პოლიტიკური ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა.

მარიამ კაცაძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
m.katsadze@iset.ge
www.iset-pi.ge

მარიამ კაცაძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის კერძო სექტორის განვითარების პოლიტიკის მიმართულების უფროსი მკვლევარია. იგი ფლობს ISET-ის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხს. ISET-ის კვლევით ინსტიტუტში მუშაობისას მან შეიძინა ფართო გამოცდილება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მხრივ, ეკონომიკურ საკონსულტაციო და კვლევითი პროექტების განხორციელებაში. იგი ასევე არის CERGE-EI-ის სტიპენდიანტი (Graduate teaching Fellow) და ამჟამად ასწავლის ISET-ში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ეკონომიკურ მოდელირებას, ღირებულებათა ჯაჭვების ანალიზს და საჯარო პოლიტიკას.

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE Network) არის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი, რომელიც აერთიანებს შემდეგ კვლევით ორგანიზაციებს: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR (მოსკოვი), CenEA (შჩეცინი), KEI (კიევი), SITE (სტოკჰოლმი). FREE Network-ის ყოველკვირეული კვლევითი დოკუმენტების სერია მკითხველებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების კვლევაზე დაფუძნებულ ანალიზს. კვლევით დოკუმენტებსა და სხვა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ავტორების პოზიციას გამოხატავს და შეიძლება არ ასახავდეს FREE Network-ისა და მისი კვლევითი ინსტიტუტის პოზიციას.

FREE NETWORK